რომანსი ქართული კინოფილმიდან

მოამზადა რუსუდან თაყაიშვილმა

მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს, 1) მოასმენინონ ოჯახის წევრებს, ახლობლებს, მეზობლებს რომანსი სიკო დოლიძის 1959 წ. გადაღებული კინოფილმიდან „დღე უკანასკნელი – დღე პირველი" და ჩაატარონ გამოკითხვა, საიდან არის ეს მუსიკა და ვინ არის ავტორი[1]; 2) სრულად ნახონ ფილმი.

სავარაუდოდ, გაირკვევა, რომ რომანსის ავტორად დავით თორაძის ნაცვლად ზოგჯერ ინოლა გურგულიას მიიჩნევენ. საინტერესო იქნება, რა არგუმენტებს წარადგენენ მოსწავლეები ამ თემის განხილვის დროს. რომანსის ლიტერატურული ტექსტის ავტორია პეტრე გრუზინსკი.

გაკვეთილზე ნახულობენ მასწავლებლის მიერ შერჩეულ რამდენიმე საკვანძო მომენტს კინო-ფილმიდან, მათ შორის, ცნობილ სიმღერას „მე ეს ღამე, თბილისო“ https://www.youtube.com/watch?v=ftRx9V586uY - ინოლა გურგულია და ირაკლი უჩანეიშვილი -- მე ეს ღამე თბილისო - და კადრებს ბელა მირიანაშვილისა და მალხაზ გორგილაძის მონაწილეობით. განიხილავენ ფილმის იდეას.

[1] გამოკითხვის ფორმა შესაძლოა გაფართოვდეს. მას მოსწავლეები შეიმუშავებენ, მასწავლებელი დაეხმარება მათი სურვილის შემთხვევაში

მოსწავლეები ასახელებენ მსახიობთა შემადგენლობას, იხსენებენ ფილმებს მათი მონაწილეობით. სასურველია, აქვე განისაზღვროს ფილმი, რომელსაც ერთობლივად ან ცალ-ცალკე ნახავენ და შემდეგ განიხილავენ[2].

მოსასმენი მასალა:

1. https://www.youtube.com/watch?v=Ig1zPaatBzQ რუსიკო ბოლქვაძე, გია აბესალაშვილი | თბილისის ღამე
2. ფოსტალიონის სიმღერა https://www.youtube.com/watch?v=ayLNSPlnh7U

[2] სასურველია, მასწავლებელმა ფილმები შეარჩიოს მაღალი ხარისხის საკომპოზიტორო ნამუშევრის მიხედვით